საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 824-02
05/04/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მედიევისტიკის, ქართული ენის და ლიტერატურის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, რექტორის 2018 წლის 2 თებერვლის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მედიევისტიკის, ქართული ენის და ლიტერატურის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N197-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 თებერვლის N1 და 2018 წლის 4 აპრილის N4 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2018 წლის 5 აპრილს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მედიევისტიკის, ქართული ენის და ლიტერატურის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **მედიევისტიკის, ქართული ენის და ლიტერატურის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იქნას **ირმა ყარაულაშვილი.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.

3.უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი